# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/208 „9" ოქტომბერი 2009 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის**
**წესის დამტკიცების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის თანდართული წესი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/213-2007 გადაწყვეტილება.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2009 წლის 9 ოქტომბრის № 1/308
გადაწყვეტილებით

# მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი

## თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მოსამართლეობის კანდიდატს**

1. მოსამართლეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

2. მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი, აგრეთვე ის პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით.

3. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან გათავისუფლების შემთხვევები განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

4. სპეციალობით მუშაობად ჩაითვლება მუშაობა შემდეგ თანამდებობებზე:

ა) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრი;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

გ) მოსამართლე;

დ) მოსამართლის თანაშემწე;

ე) სასამართლოს სხდომის მდივანი;

ვ) სასამართლო აღმასრულებელი;

ზ) პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, პროკურატურის მრჩეველი, პროკურატურის სტაჟიორი;

თ) გამომძიებელი;

ი) ნოტარიუსი;

კ) ადვოკატი.

5. სპეციალობით მუშაობად ჩაითვლება მუშაობა აგრეთვე თანამდებობებზე, რომელთა დასაკავებლად აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლება (ასეთი მოთხოვნები დგინდება საკანონმდებლო ან სხვა უწყებრივი სამართლებრივი აქტებით), კერძოდ:

ა) საქართველოს პარლამენტის, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს აპარატის საჯარო მოხელე;

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს აპარატის საჯარო მოხელე;

გ) საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საჯარო მოხელე;

დ) საერთო სასამართლოს აპარატის საჯარო მოხელე;

ე) სახალხო დამცველის აპარატის საჯარო მოხელე;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს აპარატის საჯარო მოხელე;

ზ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელე;

თ) სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების იურისკონსულტები და თანამდებობრივად მათთან გათანაბრებული პირები;

ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლისმცოდნეობის პროფესორ-მასწავლებელი და მეცნიერი მუშაკი;

კ) ასპირანტურასა და დოქტორანტურაში სპეციალობით სწავლა სამართალმცოდნეობის განხრით;

ლ) იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია ჩათვალოს სპეციალობით მუშაობად საქმიანობა თანამდებობებზე, რომლებიც ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 2. იუსტიციის მსმენელის მიერ განცხადების წარდგენა**

1. პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ჩაითვლება მოსამართლეობის კანდიდატად მას შემდეგ, რაც მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგენს განცხადებას.

2. პირს, რომელიც იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანის შემდეგ უარს განაცხადებს მოსამართლის თანამდებობის დაკავებაზე, უფლება არა აქვს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინოს განცხადება სიის დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამონაკლის შემთხვევაში განიხილავს ამ პირის კონკურსზე დაშვების საკითხს.

**მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება**

1. პირი, რომელიც განთავისუფლებულია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან, მოსამართლის თანამდებობას იკავებს კონკურსის წესით. აღნიშნული პირი მოსამართლეობის კანდიდატად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც შეიტანს განცხადებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოცხადებულ კონკურსში.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - „იუსტიციის უმაღლესი საბჭო") რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიების არსებობისას აცხადებს კონკურსს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით.

3. მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებისას. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება.

4. კონკურსი ტარდება მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

5. თუ კონკურსის საფუძველზე ვერ შეირჩა მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში აცხადებს ახალ კონკურსს ამ მუხლით დადგენილი წესით.

**მუხლი 4. სამდივნო**

1. მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული განცხადებების მიღების მიზნით, სარეგისტრაციო ვადის დაწყებამდე 3 დღით ადრე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმნის სამდივნოს.

2. სამდივნო იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისაგან.

3. სამდივნოს მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

4. სამდივნოს ევალება მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და კონკურსის მოსამზადებლად ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, კანდიდატების განცხადებების მიღება, მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება.

5. სამდივნო არსებობას წყვეტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დანიშვნის შემდეგ.

**მუხლი 5. რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი საბუთები**

1. მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა სამდივნოში რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტული ვაკანტური ადგილის მითითებით;

ბ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

დ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

ე) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4 (ფერადი).

2. მე-3 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა სამდივნოში რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მიერ გაცემული ცნობა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;

გ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

დ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

ზ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;

თ) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4 (ფერადი).

3. მოქმედმა მოსამართლემ, ასევე ყოფილმა მოსამართლემ, რომელსაც უფლებამოსილება გაუვიდა კონკურსის ჩატარებამდე არა უადრეს 6 თვისა, სამდივნოში რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინოს განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

4. მოსამართლეობის კანდიდატმა განცხადების წარდგენიდან 7 დღეში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა საჯარო სამსახურის ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაობაზე.

**მუხლი 6. მოსამართლეობის კანდიდატის უფლება, შეცვალოს განცხადებაში მითითებული ვაკანტური ადგილი**

მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადის განმავლობაში მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს გამოიტანოს განცხადება ან შეცვალოს ვაკანტური ადგილი შესაბამისი განცხადებით.

**მუხლი 7. განცხადებების განხილვისა და კონკურსის ჩატარების ვადა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო რეგისტრაციის დამთავრებიდან 3 დღის ვადაში აქვეყნებს მოსამართლეობის კანდიდატთა სიას შესაბამისი ვაკანტური ადგილის მითითებით.

2. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისად განიხილავს მე-2 მუხლით გათვალისწინებულ განცხადებებს ან ატარებს კონკურსს.

## II. მოსამართლეობის კანდიდატურების განხილვის ზოგადი წესი

**მუხლი 8. კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები**

1. კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებია:

ა) საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები;

ბ) რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში;

გ) მორალური რეპუტაცია;

დ) პიროვნული თვისებები;

ე) კვალიფიკაცია;

ვ) პროფესიული უნარ-ჩვევები;

ზ) მტკიცებისა და გამოხატვის უნარი;

თ) ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

ი) სამოსამართლო მანერები;

კ) სხდომის ჩატარების უნარიანობა;

ლ) საქმეთა განხილვის სტატისტიკური მაჩვენებლები.

**მუხლი 9. შეფასების კრიტერიუმების განმარტებები**

შეფასების კრიტერიუმებში იგულისხმება:

**ა) მორალური რეპუტაცია** - საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი, ზნეობრივი და ეთიკური ნორმებისადმი დამოკიდებულება; მიუკერძოებლობა; მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება;

**ბ) პიროვნული თვისებები** - გაწონასწორებულობა, სანდოობა, გულწრფელობა, კომუნიკაბელურობა, ხასიათის სიმტკიცე, ობიექტურობა;

**გ) კვალიფიკაცია** - მატერიალური და საპროცესო სამართლის, სასამართლო პრაქტიკისა და მეთოდიკის, კანონის ინტერპრეტაციის (განმარტების) მეთოდების ცოდნა, ასევე მისწრაფება სამართლებრივი ცოდნის გაღრმავებისაკენ; პროფესიული მუშაობის გამოცდილება; სამეცნიერო ხარისხი;

**დ) პროფესიული უნარ-ჩვევები** - პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, მონდომებულობა, მუშაობის ნაყოფიერება, პერსპექტიულობა; პირის უნარი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით, საფუძვლიანად, კეთილსინდისიერად და საიმედოდ; მიუდგეს საქმეს გეგმიურად, ეკონომიურად, კონცენტრირებულად და საჭიროების

შემთხვევაში ვალდებულებათა სხვა სფერო ჰარმონიულად შეუსადაგოს სამსახურეობრივ ვალდებულებებს;

ე) **მტკიცებისა და გამოხატვის უნარი** - პირის უნარი, დამაჯერებელი არგუმენტებით დაიცვას და სათანადოდ წარმოაჩინოს საკუთარი თვალსაზრისი, რა დროსაც უნდა გამოიჩინოს კონსტრუქციულობა, ტაქტიანობა და თვითკრიტიკულობა; ცალსახად, კომპეტენტურად, გასაგებად, მოქნილად, კონცენტრირებულად და დამაჯერებლად გამოხატოს თავისი აზრი როგორც ზეპირად, ასევე წერილობით; შემოიფარგლოს არსებითი განმარტებებით და მოახდინოს პრობლემის ამომწურავი არგუმენტირება;

ვ) **ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი** - პირის უნარი, საქმის რთული, უცხო გარემოებები და ურთიერთკავშირები აღიქვას სწორად; ცხოვრებისეული ურთიერთობების სოციალური, ეკონომიკური და სხვა არაიურიდიული ფონის გათვალისწინებით, პროფესიული ცოდნის გამოყენებით გაანალიზოს და ლოგიკურად მოაწესრიგოს ისინი; კონცენტრირება გააკეთოს საქმის არსებით გარემოებებზე; შუამდგომლობებსა და გადაწყვეტილებებში გამოავლინოს აწონდაწონილობა და სამართლიანობის შეგრძნება; სათანადო მომენტში საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს სწორი და საფუძვლიანი გადაწყვეტილება;

ზ) **სამოსამართლო მანერები** - პირის უნარი, მოახდინოს სამუშაო განრიგის გეგმაზომიერი ორგანიზება, სასამართლო პროცესის მონაწილეთა დროული და საქმიანი ჩართვა პროცესის მომზადებაში, ვადების სათანადოდ დანიშვნა და დაცვა; დიდი შინაგანი და გარეგანი დატვირთვების დროსაც (სამუშაოს დაგროვება, დროის სიმცირე, ოჯახური ტვირთი, საჯარო შეტევები და სხვ.) მოთხოვნების შესაბამის წარმატებებს მიაღწიოს საქმეთა განხილვის ხარისხისა და რაოდენობის სახით, დაძლიოს სამუშაოს ძალიან ჭარბი რაოდენობა, აღმოფხვრას ჩამორჩენა. ასევე ირკვევა, შეიძლება თუ არა მისი ნდობა, ხდება თუ არა დაგროვილი საქმეების საფუძვლიანი დამუშავება და სასამართლო პროცესის სათანადო დროში დასრულება; ჯდება თუ არა საქმის განხილვის ვადა სამუშაოს ჭარბი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაშიც კი დასაშვებობის ფარგლებში, აქვს თუ არა სამუშაოს სიჭარბეს გავლენა მუშაობის ხარისხზე, ახდენენ თუ არა ძლიერი დატვირთვები ზეგავლენას სხვებთან ურთიერთობებზე;

თ) **სხდომის ჩატარების უნარიანობა** - პირის უნარი, ჩაატაროს და წარმართოს სასამართლო სხდომები კარგად მომზადებულად, კორექტულად, გაწონასწორებულად და მიზანმიმართულად. ასევე ირკვევა, იცნობს თუ არა საქმის მასალებს როგორც შინაარსობრივად, ასევე სამართლებრივად, მიმართავს თუ არა პროცესის მონაწილეებს მიუკერძოებლად და მართებული ტონით, იხილავს თუ არა საქმეს კონსტრუქციულად და კონცენტრირებულად, ფლობს თუ არა დაკითხვის ტაქტიკებს, ძალუძს თუ არა დაარწმუნოს პროცესის მონაწილეები სასამართლო დავის მშვიდობიანად მოგვარებაში, ხვდება თუ არა გაუთვალისწინებელ სიტუაციებს თავისუფლად, მოქნილად და შეუძლია თუ არა სტრესულ სიტუაციებში გაანეიტრალოს დაძაბულობა, შეუძლია თუ არა სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის უზრუნველყოფა;

ი) **საქმეთა განხილვის სტატისტიკური მაჩვენებლები** - განხილულ საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებლები; მიღებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში; დავის მორიგებით გადაწყვეტის მაჩვენებლები;

**მუხლი 10. შეფასებათა სახეები**

კანდიდატების შერჩევისას გამოიყენება შემდეგი სახის შეფასებები:

ა) აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად;
ბ) აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ;
გ) შეესაბამება მოთხოვნებს;
დ) შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად;
ე) არ შეესაბამება მოთხოვნებს.

## თავი III. მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა

**მუხლი 11. იუსტიციის მსმენელთა მოსამართლედ შერჩევა**

1. მოსამართლეობის კანდიდატად იუსტიციის მსმენელის შერჩევისას მხედველობაში მიიღება იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში მისი რიგითი ნომერი და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება იუსტიციის მსმენელის პიროვნული თვისებების, პროფესიული უნარ-ჩვევების, მტკიცებისა და გამოხატვის უნარის თაობაზე.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლეობის კანდიდატი მოიწვევა სხდომაზე.

**მუხლი 12. შესარჩევი კონკურსის ეტაპები**

1. კონკურსის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატების საკითხს განიხილავს ორ ეტაპად.

2. პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ამ კანდიდატების დაუსწრებლად. მეორე ეტაპზე გასვლის უფლება ეძლევა კანდიდატს, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცა დადებითი შეფასება.

3. იმ პირებს, რომლებიც არ იქნებიან დაშვებული მეორე ეტაპზე, ეხსნებათ მოსამართლეობის კანდიდატის სტატუსი.

4. საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გასაუბრებაზე მოიწვიოს მხოლოდ მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები.

**მუხლი 13. გარემოებები, რომლებიც გაითვალისწინება კანდიდატურის საკონკურსო წესით შერჩევისას**

1. მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მიიღება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, მისი მორალური რეპუტაცია, პიროვნული თვისებები, კვალიფიკაცია, პროფესიული უნარ-ჩვევები, მტკიცებისა და გამოხატვის უნარი, ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, სამოსამართლო მანერები, სხდომის ჩატარების უნარიანობა, საქმეთა განხილვის სტატისტიკური მაჩვენებლები.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან გაეცნონ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას და გაითვალისწინონ დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადაწყვეტილების მიღებისას.

3. კანდიდატის წარსული საქმიანობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა, გამოყენებული იყო თუ არა მის მიმართ წახალისების რომელიმე ფორმა და დაედო თუ არა მას დისციპლინური სახდელი.

4. პიროვნული თვისებების კრიტერიუმის მიხედვით უარყოფითი შეფასების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხვა კრიტერიუმების შეუფასებლად მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება.

**მუხლი 14. კენჭისყრის წესი, გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება**

1. იუსტიციის მსმენელთან, ასევე კონკურსის მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ავსებს კანდიდატის შეფასების ფურცელს თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი 1).

3. მოსამართლეობის ყველა კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით.

4. იმ კანდიდატების მიმართ, ვინც თანაბარი ხმები მიიღეს, ხელახლა ეწყობა კენჭისყრა.

**მუხლი 15. მოსამართლედ დანიშვნა**

იუსტიციის უმაღლესი საბჭო იუსტიციის მსმენელს და კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატს ნიშნავს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში.

**დანართი 1**

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის
საიდენტიფიკაციო ნომერი

ფოტოსურათის
ადგილი

კანდიდატის სახელი, გვარი
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები:
კონკურსზე მონაწილეობის რიგითობა:

**შეფასების კრიტერიუმები**

| № | შეფასების კრიტერიუმი | აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად | აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ | შეესაბამება მოთხოვნებს | შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მორალური რეპუტაცია | | | | | |
| 2 | პიროვნული თვისებები | | | | | |
| 3 | კვალიფიკაცია | | | | | |
| 4 | პროფესიული უნარ-ჩვევები | | | | | |
| 5 | მტკიცებისა და გამოხატვის უნარი | | | | | |
| 6 | ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი | | | | | |
| 7 | სამოსამართლო მანერები | | | | | |
| 8 | სხდომის ჩატარების უნარიანობა | | | | | |
| 9 | საქმეთა განხილვის სტატისტიკური მაჩვენებლები | | | | | |

საბოლოო შეფასება: დადებითი ☐ უარყოფითი ☐